ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ალექსანდრე ციცქიშვილს

რეკომენდაცია

შეზღუდვის ფორმის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო ალექსანდრე,

2017 წლის 27 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს N5795/17 განცხადებით მომართა ააიპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელმა ანა აბაშიძემ (შემდგომში განმცხადებელი). განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან ადგილი აქვს მკვეთრად გამოხატული იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციას, რომლებიც არ არიან უსინათლოები.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან.

1. ფაქტობრივი გარემოებები

განცხადებაში მითითებულია, რომ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მარტის N7 დადგენილებით განსაზღვრულია ჭიათურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების სახეები და მათი გაცემის წესი. 2017 წლის 15 მარტის N7 დადგენილების მე-2 მუხლის მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე უსინათლო პირებზე გაიცემა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად.

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად სოციალური დახმარების გაცემა მხოლოდ იმ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული

შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთათვის, რომლებიც არიან უსინათლოები, არის დისკრიმინაციული სხვა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, რომელთაც სხვა სახის შეზღუდვა აქვთ.

2017 წლის 20 ივნისს სახალხო დამცველს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან ეცნობა, რომ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მარტის N7 დადგენილება ინიცირებულია მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. აღნიშნული დადგენილების მიღებამდე, მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეისწავლა მუნიციპალიტეტში არსებული ვითარება და მიუსადაგა მუნიციპალიტეტის ფინანსურ შესაძლებლობებს. სოციალური პროგრამის განვითარების პროცესში გათვალისწინებული იქნა პრიორიტეტები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნები და საჭიროებები. საკრებულოს მითითებით, სწორედ ამ შეფასების შემდეგ შეიქმნა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირთა დახმარების პროგრამა, რომლებიც წარმოადგენენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თითქმის მესამედს. საკრებულოს ცნობით, მუნიციპალიტეტი მომავალში გეგმავს, რომ გააფართოვოს დახმარების მიმღებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპექტრი და მოიცვას ყველა კატეგორია მათი მოთხოვნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, რაც დამოკიდებულია ასევე მუნიციპალიტეტის ფინანსურ რესურსებზე.

2. სამართლებრივი შეფასება

თანასწორობის უფლება გარანტირებულია როგორი საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.[1]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II,1

დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა, პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირბებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ,*** არ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და იგი ***დასახული მიზნის არათანაზომიერია.***

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმათ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე.ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და არ არსებობს ***პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.***[2]

[2] ECtHR, *Eweida and Others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88 Burden v. United Kingdom, no: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, §60

2.1. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

უფლება სოციალურ დაცვაზე ინდივიდუალურად არ არის რეგულირებული საქართველოს კანონმდებლობით, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. აღნიშნული მუხლი თავის თავში მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განხორციელება მოქალაქეებისათვის. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული ადამიანის ღირსება და პატივი მჭიდროდ უკავშირდება სათანადო ცხოვრების დონის არსებობას. სათანადო ცხოვრების დონის უზრუნველყოფა კი, დაუცველი ჯგუფებისათვის, შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მატერიალური, სოციალური დახმარების აღმოჩენით, რაც პიროვნების კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის 28-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე, საცხოვრებელ პირობებზე მათთვის და მათი ოჯახებისათვის, რაც მოიცავს ადეკვატურ კვებას, ტანსაცმელს, საცხოვრებელ პირობებს; ასევე უფლებას საცხოვრებელი პირობების უწყვეტ გაუმჯობესებაზე; იღებს შესაბამის ზომებს აღნიშნული უფლების დაცვისა და რეალიზებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ნებისმიერი დისკრიმინაციის გარეშე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით სახელმწიფო აღიარებს **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას სოციალურ დაცვაზე,** ამ უფლებით შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე გამოყენების უფლებას და იღებენ შესაბამის ზომებს მისი დაცვისა და რეალიზებისათვის.

2.2. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.[3] საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს

[3]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II.19

კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.[4]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.[5] თანასწორობის იდეა ემსახურება ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისათვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას.[6] დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს - არსებითად თანასწორებს მოეპყრას თანასწორად და პირიქით.[7]

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათი სტატუსიდან გამომდინარე, წარმოადგენენ არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფ სუბიექტებს. განსახილველ შემთხვევაში, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე უსინათლო პირებზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა სოციალური დახმარება კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად. ამდენად, **არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება ყველა სხვა დანარჩენი მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, რომელიც არ არის უსინათლო და, შესაბამისად, არ იღებს დახმარებას კომუნალური გადასახადების დასაფარად.**

2.3. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველს წარმოეშობა დისკრიმიანციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია, გადადის მოპასუხე მხარეზე. დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი ნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი რომელი აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სახალხო დამცველს უნდა წარმოუდგინოს ისეთი

---

[4]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება #2/1/473, II, 1

[5]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 3

[6]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 1

[7]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539, II, 4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 5

ლეგიტიმური მიზანი, რომელიც არის განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება.

როგორც აღინიშნა, 2017 წლის 20 ივნისს სახალხო დამცველს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან ეცნობა, რომ სოციალური პროგრამის განვითარების პროცესში გათვალისწინებული იქნა პრიორიტეტები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მოთხოვნები და საჭიროებები. საკრებულოს მითითებით, სწორედ ამ შეფასების შემდეგ შეიქმნა მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირთა დახმარების პროგრამა, რომლებიც წარმოადგენენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თითქმის მესამედს. საკრებულოს ცნობით, მუნიციპალიტეტი მომავალში დახმარების მიმღებ პირთა სპექტრის გაფართოვება დამოკიდებული იქნება საჭიროებებსა და მუნიციპალიტეტის ფინანსურ რესურსზე.

ამდენად, **მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სოციალური დახმარების მიმღებ პირთა წრიდან გამორიცხვა, მათ შორის, უკავშირდება მატერიალურ რესურსებს. ხოლო უსინათლო პირთა პრიორიტეტულ კატეგორიად გამოყოფის ლეგიტიმურ მიზანს კი წარმოადგენს მათი რაოდენობა მუნიციპალიტეტში.**

თანასწორი მოპყრობა გარანტირებული უნდა იყოს მოწყვლადი კატეგორიის სხვადასხვა ჯგუფებისათვის.[8] დისკრიმინაციას ადგილი აქვს, თუკი სახელმწიფო დროულ და ეფექტურ ნაბიჯებს ვერ დგამს იმისათვის, რომ უფლებებითა და **დაუცველი ჯგუფისათვის პრივილეგიებით სარგებლობა ხელმისაწვდომი გახადოს ყველასთვის თანაბრად.**[9] ეკონომიკური და სოციალური უფლებების პროგრესულად რეალიზებადი ბუნება არ გულისხმობს, რომ გარკვეული ჯგუფები მუდმივად გამოირიცხონ ამ უფლებებით ეფექტურად სარგებლობისგან, ამდენად, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, რომ დაიცვას სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად.[10]

ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია, რომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხარისხიანი, ადეკვატური, მისაღები და ადაპტირებული სოციალური დაცვის პროგრამები. ეს პროგრამები მათი საჭიროებების შესაბამისად უნდა იქნეს შემუშავებული და უნდა უზრუნველყოს ადეკვატური რაოდენობისა და ხანგრძლივობის

[8]ECSC, European Social Charter, Conclusions 2015, გვ.57, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680593904

[9] ECSC, ERRC v. Bulgaria, no. 31/2005, 18/10/2006, §40; Centre on Housing Rights and Evictions (COHRE) v. Italy, no. 58/2009, 6/07/2010, §35

[10] Bantekas, Ilias & Oette, Lutz. *International human rights law and practice*, 2nd ed, Cambridge University Press 2016, გვ. 409

ბენეფიტები ბენეფიციარებისათვის, რათა ისინი სარგებლობდნენ ცხოვრების სათანადო სტანდარტით.[11]

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ფინანსური რესურსების ნაკლებობა ვერ გაამართლებს თანაბარ მდგომარეობაში მყოფ დაუცველ პირთა ჯგუფში პრიორიტეტების გამოყოფას და განსხვავებულ მოპყრობას. ამდენად, სახელმწიფომ გონივრულ ვადაში უნდა უზრუნველყოს სოციალური ბენეფიტებით სარგებლობა ყველა იმ პირისათვის, ვისაც ისეთივე სტატუსი აქვს, როგორიც პრიორიტეტით გამოყოფილ კატეგორიას.

აღსანიშნავია, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაცია არ არის სპეციალური და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ. ამდენად, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დახმარების მიმღებთა სამიზნე ჯგუფად გამოყოფა, ობიექტურ გარემოებების გათვალისწინებით, თავისთავად დისკრიმინაციად არ ჩაითვლება, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში პრიორიტეტული ჯგუფის გამოყოფა თანაბარ მდგომარეობაში მყოფი მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს შორის, რომელთაც მეტ-ნაკლებად მსგავსი საჭიროებები აქვთ, განსაკუთრებით რეგიონში ფინანსური დახმარების საჭიროების კუთხით, ვერ იქნება გამართლებული მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსური სახსრების ნაკლებობით.

ამასთან, ბუნდოვანია მუნიციპალიტეტის მიერ უსინათლო პირთა პრიორიტეტულ კატეგორიად გამოყოფის ობიექტური მიზეზი. მოპასუხემ ვერ წარმოადგინა იმგვარი არგუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ უსინათლო პირებს აქვთ ისეთი განსაკუთრებული ფინანსური საჭიროება, როგორიც სხვა, არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფ, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ აქვთ. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებული საშუალება არ არის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული და გაუმართლებლად გამორიცხავს სხვა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სოციალური ბენეფიტით მოსარგებლეთა რიცხვიდან.

აღსანიშნავია, რომ სოციალურ პროგრამაში ბენეფიციართა გათვალისწინების ან/და გამორიცხვისას დაშვებულმა შეცდომებმა, რომელსაც ემატება საზოგადოების მხრიდან ბენეფიციარების შერჩევისას გამოყენებული მეთოდოლოგიის აღქმის სირთულე, შეუძლია შექმნას დაძაბულობა და კონფლიქტი საზოგადოების შიგნით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საზოგადოების დაუცველ ჯგუფს არსებითად მსგავსი სოციალური მდგომარეობა შეიძლება ჰქონდეს. როდესაც ხდება სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა, ფრთხილად უნდა

[11] Committee on the Rights of Persons with Disabilities, Inquiry concerning the UK carried out by the Committee under article 6 of the Optional Protocol of the Convention, CRPD/C/15/R.2/Rev.1, 6/10/2016, §33

შეირჩეს ბენეფიციარები და შეფასდეს მიღებული გადაწყვეტილების გავლენა იმ ჯგუფზე, რომელიც პროგრამის მიღმა რჩება. ამისათვის აუცილებელია, რომ ბენეფიციართა შერჩევის მეთოდები იყოს ობიექტური, გამჭვირვალე და არ გამოიწვიოს გარკვეული დაუცველი ჯგუფის/ჯგუფის ნაწილის სეგრეგაცია ან სტიგმატიზაცია.[12]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მარტის N7 დადგენილება არის დისკრიმინაციული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირთა მიმართ, ვინც არ არის უსინათლო.

შესაბამისად, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომ:

- გონივრულ ვადაში უზრუნველყოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის კომუნალური გადასახადების დასაფარად ფინანსური დახმარების გამოყოფა;
- სოციალური პროგრამებით მოსარგებლეთა სამიზნე ჯგუფების განსაზღვრის კრიტერიუმები შეიმუშავოს თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად.

პატივისცემით,

[12] Sepulveda, Magdalena & Nyst, Carly, *The Human Rights Approach to Social Protection*, 2012, გვ. 39, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ohchr.org/Documents/Issues/EPoverty/HumanRightsApproachToSocialProtection.pdf